

ქ.ქუთაისში, ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო  
გადაყვანაზე ნებართვების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის /M<sub>1</sub> M<sub>2</sub> და M<sub>3</sub> კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით/ ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის N100 დადგენილების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს შპს „სამი ძმა“-ზე გაცემული ნებართვები ქ.ქუთაისში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M<sub>2</sub> კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების N10, N33, N38, N53 მარშრუტებზე.

2. გაუქმებული სანებართვო მოწმობები N99, N100, N113, N124 დაუბრუნდეს ქ.ქუთაისის მერიის ტრანსპორტის სამსახურს.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია